პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 იანვარი შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 16 (15837)

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲛᲐᲨᲠᲯᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ-ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲝᲒᲖᲘᲚᲝ ᲪᲐᲕᲗ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲯᲘᲚᲓᲝᲗᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲪᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲑᲣᲪᲐ ᲚᲐᲒᲕᲘᲚᲐᲒᲐᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ



ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ მეხსმე, გადამწყვეტი წელიწადი განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის დამბარისხებელი ხალმჭრის მეუღლე ქალმა ბაბუცა კაპიტონის ასულმა ლაგვილავამ; პირადად მან გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარა 270 ტონა პროდუქცია — მაღალხარისხოვანი ბაიხო ჩაი.

ასეთი მაღალი შედეგი მეუღაფეს თავდადებული შრომის ნათელი მაჩვენებელია. ბ. ლაგვილავას შრომითი بიოგრაფია ყოველთვის ასეთი თავდადების მაგალითები იყო ხავსე; შარშანდელი გეგმა მან 1 ოქტომბრისათვის შეასრულა და გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის ინიციატორიც თვითონ იყო.

ფაბრიკაში მუშაობის ამ ათი წლის მანძილზე ნოვატორმა მუშამ კოლექტივში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, მის მკერდს ამშვენებს ლენინის ორდენი და შრომის წითელი დროშის ორდენი. ახლა კი ამ მაღალ ჯილდოებს სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც მიემატა, გმირის მკერდზე აკიაფდება მეორე ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“.

ᲮᲣᲠᲐᲗᲗᲣ: ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ᲑᲐᲑᲣᲪᲐ ᲚᲐᲒᲕᲘᲚᲐᲒᲐ.

ᲒᲐᲝᲠᲙᲔᲪᲔᲒᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ

ᲩᲔᲛᲘ შრომის ესოდენ დიდ დაფასება არა მარტო ჩემი, არამედ ფაბრიკის მთელი კოლექტივის შრომის დაფასებაც არის. ყველაფერი, რაც სიცოცხლეში მივაღწიე, ამხანაგების, მეგობრების, კოლეგების, მთელი კოლექტივის დახმარების შედეგია. ამიტომ ამ სახარულოს ჟამს, დიდ მადლობას რომ ვუხდი პარტიას და მთავრობას ასეთი პატივისთვის, მადლობას ვუხდი ჩემს კოლექტივსაც, რომელიც ახლა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის შრომითს ვეხებოდ. ჩვენ პარტიასა და მთავრობას დადგენილების პასუხად ფართოდ გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება და გაზრდილი ვალდებულებები, ვიკისრეთ წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

პირობას ვიძლევი, რომ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბ. ᲚᲐᲒᲕᲘᲚᲐᲒᲐ,
ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲣᲐᲚᲠᲘᲡᲚᲐᲓ საქმიანობა ვითარებამ, შემოქმედებითმა აღმავლობამ მოიცვა საქართველოს ქალაქები და ოფლები, სამრეწველო საწარმოები და მშენებლობანი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩვენი ველ-მინდვრები, მთა და ბარი. ეროვნულ მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის, იმ რუსულ ბელიკის კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა შრომელს ხელთ აქვთ ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლო და ხამოქმედო პროგრამა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მამართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ეს ისტორიული დოკუმენტი მთელმა საბჭოთა ხალხმა, თვითეულმა შრომელმა მიიღო როგორც შრომისა და ცხოვრების კომპასი, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მაგისტრალური ხაზი.

პარტიის მოწოდების საპასუხოდ საქართველოს შრომელები ერთხმულოვნად აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალები, შესაძლებლობანი და ენერგია მოახმარონ სამშობლოს კეთილდღეობის დიად საქმეს. საქართველოს შრომელთა ეს მტკიცე გადაწყვეტილება მკაფიოდ არის გამოხატული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით“.

ამ დადგენილებიდან გამომდინარე საკითხები ორგანული ნაწილია ამ გრანდიოზული ამოცანებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაშია მოცემული. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად ითვალისწინებს ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების უაღრესად დიდ და კეთილშობილურ მიზნებს. იმ მიზნების განხორციელებაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხახურების სფეროს დარგების ეამართულ მუშაობას, იმ კოლექტივების წევრთა მაღალ ნაყოფიერ, კეთილსინდისიერ საქმიანობას, რომლებსაც ჩვენს ადამიანებთან — მუშებთან, კოლმეურნე გლეხობასთან, მოხამახურეებთან, დაასახლოსებთან ყოველდღიური ურთიერთობა, სისტემატური და აუცილებელი კავშირი აქვთ.

ეხები არიან ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო, კოოპერაციული ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვათა კოლექტივები. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგების მუშაობის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, მაინც ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი მშრომელთა კეთილდღეობის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, რადგან ყოველივე ეს, რაც გაკეთდა, პირველი ნაბიჯებია და წინ დიდი, მოღვაწეობა მოგველის.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია სახელმწიფო ვაჭრობისა და ხამომხმარებლო კოოპერაციის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ახლა მტკიცე, შემტევი ბრძოლა მიმდინარეობს. ამაზე მეტყველებენ ის მრავალფეროვანი ღონისძიებანი, რომლებსაც პარტიული და ამ დარგების რესპუბლიკური ორგანოები ახორციელებენ. მაგალითად, ამ დღეებში გამართულ ცეკავშირის ხაბჭოს კრებაზე იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ სრულდება ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ცეკავშირის სისტემაში წამალეების, გაფლანგვებისა და სხვა ბოროტმოქმედების შესახებ. კრებაზე მთელი ხიმკაცრით, გულახდილობითა და პრინციპულობით იყო ლაპარაკი იმ მანკიერების, დამახინჯებების, ხაბჭოთა კანონების დარღვევების და ხალხის წინაშე ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს ხახალხო მეურნეობის ამ დარგს.

ხახელმწიფო ვაჭრობა და ხაზოგადოებრივი კვება ჩვენი ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ძნელად ინერგება მუშაობის პროგრესული მეთოდები, ძველებურად, პრიმიტიულად მუშაობა კი ბოროტებათა და დანაშაულობათა ხელსაყრელ პირობებს ქმნის. მარტო თბილისში ხაჩკვების ხამმართველოს სისტემაში 347 ხაწარმო მოქმედებს, რომელთაგან ნახევარიც კი არ არის უზრუნველყოფილი ხალაროს აპარატებით, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მომხმარებლთა მომსახურების ხაქმეს, ზომა-წონაში მოტყუების აღმოფხვრას.

ბევრი ხერიოზული ნაკლოვანებანი და დამახინჯებებია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხამინისტროს ხაწარმოთა მუშაობაში. აქ ჯერ კიდევ არის ისეთი მანკიერი მოვლენები, რომლებიც მშრომელი ადამიანების ღრმა უკმაყოფილებას იწვევენ. ფართოდ აქვს ფესვები გადგმული გამოძალვას, უხეშობას, უკულტურო მომსახურების შემთხვევებს. როგორც ფაქტები მეტყველებენ, რეხუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხამინისტროს ხელმძღვანელობამ, მიხმა ადგილობრივმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა დღევანდელი მოთხოვნების დონეზე.

მომსახურების ხფეროს ხხვადახხვა დარგებში არსებული ეს და ხხვა ნაკლოვანებანი რომ დავძლიოთ, მთელი შეუპოვრობით უნდა ვიბრძოლოთ ყოველგვარი დარღვევების აღკვეთისათვის, ხაზოგადოებრივი წესრიგის, ხოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, ყველა შრომითს კოლექტივში მაღალი პატიოანი, ხახელმწიფო, შრომითი დისციპლინის დამკვიდრებისათვის და, რაც ყველაზე მთავარია, თვით ხამინისტროთა, უწყებათა აპარატებში ნამდვილი პარტიული ხულიერკეთებანი, მაღალი ეხრიგები, თანამედროვე პირობების შესაბამისი მომთხოვნელობის დამეარებისათვის. ყოველივე ეს კმ მოგვცემს იმის რეალური შესაძლებლობას, რომ წარმატებით ვიშრომოთ ახალმწიფო დავალებათა შესრულებისათვის, იმ დიდი და ხაპასუხისგებლო ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში.

მიმდინარე ხუთწლედის განვახაზღვრელი წლის ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მოსახურების ხფეროს მუშაკთა კოლექტივების მთელი ძალღონის, მთელი შესაძლებლობის, ენერგიის დაძაბვას, გულმოდგინებას, ხიბეჯითეს, რიგით მუშაკთა და კოლექტივების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მკვეთრ ამაღლებას, ხანიმუშო შრომითს დისციპლინას.

იმითათვის, რომ მომსახურეობის ხფეროს დარგებმა შეახრულონ ხახელმწიფო გეგმები და დავალებანი, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში დასახული ამოცანათა დონეზე, პირველ რიგში უნდა აღმოფხვრან ის ხერიოზული ნაკლოვანებანი, ხარვეზები, რომლებიც წარხულში ხელს გვიშლიდა მუშაობაში, გაბედულად ვიარძოლოთ ყოველგვარ დანაშაულობას, უხეშობას და უდისციპლინობას.

მომსახურების ხფეროს ყველა დარგის მუშაკებმა, შრომითმა კოლექტივებმა მთელი პასუხისმგებლობით უნდა შეიგნონ ის, რომ ხახელმწიფო გეგმის, ხოციალისტური ფეიბრების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ნამდვილ ღალატია იმ დიდი საქმისა, რასაც ჩვენი რესპუბლიკის მეშრომელები ეწევიან ხუთწლედის განმაზღვრელი წლის დავალებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს პარტიულ, ხაბჭოთა ორგანიზაციებს, მომსახურების ხფეროს შრომითს კოლექტივებს, თვითეულ მუშაკს ხელთ აქვთ წინხვლისა და პროგრესის უდიდესი მანათობელი ჩირაღდანი, ხამოქმედო პროგრამა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, ხაბჭოთა ხალხისადმი. დაე ვიცოდეთ ამ დიდი პროგრამის განხორციელების მეორეხავე კოზიციაზე, ჩვენს ვალდებულებებსა და სიტყვებს მოკავეს დიდი ხამეობი ხალხის მოეახურების ყველა დარგში ახალი წარმატებების მოხაპოვებლად.



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

დედაქალაქის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ჩამოყალიბებულ ამოცანათა და დებულებათა საფუძველზე საწარმოებში. მშენებლობებზე, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის ორგანიზაციებში, სამეცნიერო დაწესებულებებში ჩაღდება შეჯიბრება 1974 წლის გეგმების და ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის.

მოსკოველი მშრომელები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, მთავარ ამოცანად ისახავენ მნიშვნელოვნად დაჩქარონ წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი — დედაქალაქის სახალხო მეურნეობის დარგებში, აამაღლონ სამრეწველო პროდუქციის, მშენებლობის ტექნიკური დონე და ხარისხი, გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 20 პროცენტის გადაჭარბებით შესრულონ პროდუქციის გამოშვების მატება 1974 წლის საგეგმო დავალებანი. გადაწყვეტილია ვადამდე, 26 დეკემბერს შესრულონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1974 წლის გეგმა. პროდუქციის მოცულობის მთელი მატება დასახულია მიიღონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ 1974 წლის სახელმწიფო დავალება, ძალებსა და სახსრებს თავი მოუყარონ უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, შეამცირონ მშენებლობის ვადები.

მაღალი მიჯნები დაისახეს 1974 წლისათვის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამინაო-კომუნალური მეურნეობის, დედაქალაქის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა.

მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული მოსკოველი მშრომელები განაგრძობენ ტრადიციულ შეჯიბრებას ლენინგრადელებთან და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ოდენას ახმარენ იმის, რომ გააჯანსაღონ თავიანთი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესრულებაში. (საკ.ინ.).

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ავსტრიის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე (დელეგაციის მეთაური) და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

მერმეტრეველის აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ხ. შაპოშნიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

ᲘᲓᲘᲗᲐᲕᲘ დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ვენაში ჩავიდა. აეროდრომზე მას შეხვდნენ ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ფ. მარი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე გ. ფრიცი, შემხვედრთა შორის იყო სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ავსტრიაში ვ. ᲨᲐᲛᲝᲜᲘᲪᲘᲐ. (საკ.ინ.).

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲕᲔᲜᲐ, 18 იანვარი. (საკ.ინ.). დღეს აქ გაიხსნა ავსტრიის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. მას მუშაობაში მონაწილეობს 470 დელეგატი ქვეყნის ცხრავე მხარიდან. ყრილობას ეს ეწერება მომმე პარტიების 14 დელეგაცია, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ყრილობა სამ დღეს გასტანს.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘᲡ Ბ. Ა. ᲑᲐᲑᲐᲯᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობსა და რეჟისორს, სსრ კავშირის სახალხო artისტს ᲑᲐᲑᲝᲩᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ანდრიას-ძეს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ᲖᲘᲝᲠᲙᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 18 იანვარი.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-628“

1974 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-628“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიის, რადიოსა და საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზეც განხილულს მსახბრივი პროპაგანდისა და ინფორმაციის საშუალებათა ამოცანები 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მშრომელთა ხრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებაში.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

როგორც თათბირზე აღინიშნა, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ამოცანა ის არის, რომ დაწერილი ფაქტი გააშუქონ ხუთწლედის მესამე წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და შემენილი გამოცდილების საფუძველზე მშრომელთა ფართო მასები დარაზმონ მიმდინარე წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. საჭიროა მკაფიოდ და კვალიფიციურად ვუჩვენოთ წარმოების ნოვატორებს, საუკეთესო ბრიგადების, უბნების, საწარმოების წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, პროპაგანდა გავუწიოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, შრომის მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს. უსრუნველვყოთ შეჯიბრების ფართო საჯაროობა და შესადარება, მისი შედეგების რეგულარული გაშუქება. თათბირზა საგანგებოდ აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხრე ხუთწლედის ბრძოლის საქმიანობის გაშუქებას პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

პრესას, ტელევიზიას, რადიოს რეკომენდაცია მიეცათ გააშუქონ მშრომელთა კოლექტივების ბრძოლა წარმოების თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის — უკეთესი ხარისხის, ნაკლები დანახარჯებით მეტი რაოდენობის ჰრდუქციის გამოშვებისათვის; შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ამაღლებისათვის; ფონდუუკუნების გადიდებისათვის; მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლებისათვის და სხვ.

საწარმოო საკითხების გაშუქებასთან ერთად ყოველმხრივ უნდა ვუჩვენოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას ხაბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის, მისი იდეურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბების საქმეში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა იდეოლოგიის დარგში პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მდივნების, რესპუბლიკის პროპაგანდისტთა აქტივის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საკითხს „პროპაგანდისტული და საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით“.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ნ. ᲩᲘᲠᲙᲘᲜᲘᲐ.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის ᲒᲐ. ნ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲘᲡ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის დ. ვ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივნის ვ. Ა. ᲔᲚᲒᲐᲯᲘᲡ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის კ. Გ. ᲒᲐᲠᲓᲐᲞᲮᲐᲫᲘᲡ სინფორმაციო მოხსენებანი.

თათბირზე გამოვიდნენ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტკომის მდივანი ზ. კ. ᲡᲐᲠᲩᲘᲐ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. ᲗᲐᲕᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. Ა. ᲝᲩᲘᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲘ, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ᲗᲝᲠᲑᲐ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. Ბ. ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანი ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲣᲜᲯᲘ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი რ. ა. ᲯᲝᲯᲣᲐᲫᲔ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ᲓᲐ. Შ. ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე Თ. Გ. ᲑᲐᲭᲘᲫᲔ.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა Თ. Შ. ᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

თათბირმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით მიიღო პროპაგანდისტული და საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის რეკომენდაციები.

(საინფორმო).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ა. Ა. ᲑᲠᲝᲜᲘᲙᲝ ᲡᲝᲤᲚᲘᲗᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 18 იანვარი. (საკ.ინ.). დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ერევნის აეროპორტში ამხანაგ ა. ა. გრომიკოს შეხვდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ᲥᲝᲩᲘᲜᲘᲐᲜᲘ, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. Ხ. ᲐᲠᲗᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ა. ᲐᲠᲬᲣᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სომხეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲐᲙᲘᲣ, 18 იანვარი. (საკ.ინ.). საზეიმოდ არის მორთული რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები.

აზერბაიჯანში დიდი ზეიმია: დღეს რესპუბლიკის დროშაზე ორი ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გვირგვინთ აკიაფდა ხალხთა მეგობრობის ორდენი. ეს ჯილდო აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას გადაეცა სსრ კავშირის განვითარებასა და განმტკიცებაში, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მეგობრობისა და მბური თანამშრომლობის განმტკიცებაში დიდი დამსახურებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში დიდი წვლილისათვის.

ვ. ი. ლენინის სახელობის სახსლში გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა. დარბაზში არიან აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები, ბევრი სტუმარი.

საზეიმო სხდომა გახსნა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ა. ᲮᲐᲚᲘᲚᲝᲕᲐ. ეკონომ საბჭოთა კავშირისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ.

გრიალებს მარში, დარბაზში შემოაქვთ აზერბაიჯანის სსრ დროშა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა, სკკპ

პარტიული ცხოვრება

მწარე სიმართლე

რაიონულ კარტიულ კონფერენციიაზე

პარტიის ახალციხის რაიონული ორგანიზაციის 31-ე კონფერენციას წინ უსწრებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, რამაც ფართო გამოხმაურება პოოვა და ახალი შრომითი ამაღლება გამოიწვია. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის პასუხად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში. სამშენებლო ობიექტებზე იმართება ხალხმრავალი მიტინგები და კრებები, რომლებზეც მშრომელთა კოლექტივები ავლინებენ ახალ რეზერვებს, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა ვადამდე გადაჭრებით შესრულებისათვის.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისა და წარმოების ზრდისათვის ყველაზე დიდი რეზერვი ნაკლოვანებათა მხილება და მათი აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა დასახვაა.

საანგარიშო პერიოდში კი პარტიის ახალციხის რაიონულ კომიტეტს, მის ბიუროს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს (ოტა როდი ჰქონდათ ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომელთა საქმიან ანალიზს შეიცავდა საანგარიშო მოხსენება. იგი კონფერენციას წყარედგინა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. გავაშელმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის ახალციხის რაიკომის მუშაობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ჩამორჩებოდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანებს. რაიონულმა კომიტეტმა ჯეროვანი დასკვნები არ გააკეთა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, დროულად ვერ აღწყო ნაბიჯი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ, გაბედულ კურსს.

რაიონში, პირველადი პარტიული ორგანიზაციები. საბჭოთა ორგანოები ურიგდებოდნენ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რაიონის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, სამშენებლო და საყაჩრო ობიექტებზე, მოსახლეობის სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მომსახურებაში. მათი წარუფენით ირღვეოდა შრომისა და მოწამსარგებლობის ნორმები, საბინაო თონდის განაწილების წესები. სერიოზული ნაკლოვანებები იყო ადერების შერჩევის. აღზრდისა და განაწილების საქმეში. ძალიბეჭობის, ნათესაობის, მაამებლობის ატმოსფეროში სრულიად შეუფერებელი პირები ახერხებდნენ პასუხსაგებ თანამდებობებზე დაწინაურებას. მუშაობის ასეთ მძაფრ მეთოდებსა და სტილს თან ერთოდა უკონტროლობა და მოშვებულობა, რის შედეგადაც რაიონში შეიქმნა მეტად არასახურველი ვითარება, ფეხი მოიკიდა შექრთამეობამ, სახელმწიფო თანხების გაფლანგვა-დატაცებამ და სხვა ანტისაზოგადოებრივმა, მახინჯმა მოვლენებმა.

მეკრთამეობისათვის დაპატიმრებულ იქნენ ახალციხის სამგზავრო ავტოსაწარმოს უფროსი ვ. პოოსსიანი, რაიონის სანეიმისაღურის მთავარი ექიმი ა. ჯინჭველაძე, რაისაბჭოს აღმასკომის სოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ს. სარქისიანი, ცეკავშირის ახალციხის სარაიონთაშორისო საყაჩრო ბაზის საწყობის გამგე ვ. მატინიანი. დიდი რაოდენობით სახელმწიფო თანხების გაფლანგვა-მითვისებისათვის დაპატიმრებულია ავრეთვე ქ. ჯალის მუშაობა მომარაგების განყოფილების № 16 სამეურნეო მაოაზის გამგე-გამყიდველი ო. აივაზიანი.

სწორედ ადრების არასწორი შერჩევის შედეგია, რომ ცეკავშირის ახალციხის სარაიონთაშორისო საყაჩრო ბაზაში (დირექტორი ქ. ჩხიკვაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. გალანდიანი). საწყობის გამგეებად მუშაობენ ვერტიქმები, აგრონომები, აგრონომ-ნიკოსები. ელექტრომონტიორები და სხვ. ზოგიერთ კოლმეურნეობას კი სათავეში ოჯიანან გამოოქიდელი და არაკვალიფიციური მუშაკები.

1972 წელს სოფელ ურავლის კოლმეურნეობაში რაიკომის რეორი წლის ამბავი როდია. სად იყვნენ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებ ი? ყველაფერი ეს ხომ მათ თვალწინ ხდებოდა? რატომ არ კითხულობდნენ. ვის ხარჯზე იმართებოდა ზოგპრული ღრეობები? თუმცა რა უნდა ეკითხათ, როცა მათ სხვებზე უკეთესად იცოდნენ საქმის ვითარება და მომხდარ დანაშაულებათა შესახებ შემოსულ სიგნალებზეც თვალს ხუჭავდნენ. ყურს აყრუებდნენ. ზოგჯერ დამნაშავეებს მფარველობდნენ კიდეც.

სოფლის მეურნეობისადმი ასეთი სუსტი ხელმძღვანელობის, არსებული ნაკლოვანებების, დარღვევების, შეცდომების, დამახინჯებების შედეგად რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და ხაბჭოთა მეურნეობაში მოიშალა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. ამის გამო წლობით არ სრულდებოდა მარცვლეულის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის წარმოების გეგმები.

მეტად შემაშფოთებელი მდგომარეობაა კარტოფილის წარმოებისა და დამზადების საქმეში. მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ათასი ტონისა რაიონში წარმოებულია მხოლოდ 35 ათასი ტონა კარტოფილი. აღმაშფოთებელია, რომ ეს დარგი უყურადღებოდ არის მიტოვებული წყალთბილის, პამაჯის, მინაძის საბჭოთა მეურნეობებში (დირექტორები: ა. სიმონიანი, ჰ. მეიოანი, ს. ნასყიდაშვილი, პარტიული კომიტეტების მდივნები: ტ. აღაჯანიანი, ს. პაპიკიანი, გ. ჩადუნელი), რომლებსაც მეკარტოფილეობის ტრადიციები აქვთ.

რაიონის ყველა სამრეწველო საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნილია სოციალისტური შეჯიბრების ადგილობრივი კომისიები, რომლებსაც სათავეში უდგანან პარტორგანიზაციების მდივნები, მაგრამ მათი უმრავლესობა პრაქტიკულად არაფერს აკეთებს, ამ საქმისათვის არც პროფკავშირული ორგანიზაციები იწუხებენ თავს. ამიტომ არის, რომ ბევრგან სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ ქაღალდზეა, ფორმალურ ხასიათს ატარებს. ფორმალიზმს კი ზოგჯერ მიეყოვართ ისეთ სამარცხვინო პარადოქსამდე, როგორსაც ადგილი ჰქონდა გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში. (უფროსი ა. მიქაელიანი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ხ. ვეოსკანიანი, ადგილკომის თავმჯდომარე ლ. სლიკოვა), აქ გასული წლის დეკემბერში მოწინავე მუშების ერთ ჯგუფს საზეიმო ვითარებაში გადასცეს „სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშანი და ბრძანება შტატების შემცირების გამო მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში ამაზე შორს ვერ წავა.

მომზსენებელმა და დელეგატებმა ბევრი ილაპარაკეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში არსებულ ნაკლოვანებებზეც. მათ სამეურნეო ჩამორჩენა იმთავაც ახსნეს, რომ დაბალ დონეზე დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

კონფერენციაზე სიტყვით გაეზიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგე ესესნიაშვილი.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

პირველი პრაქტიკული ნაგიჯი

ახლა ქუთაისში დიდსა თუ პატარას — საწარმოსა თუ მშენებლობაზე — აღაფრთოვანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის შთამაგონებელი მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

— გასული, ხუთწლედის გადამწყვეტი წლის შედეგები სასიხარულოა. ქალაქის უკლებლივ ყველა საწარმომ შესრულა პროდუქციის რეალიზაციის დავალება. მაგრამ როგორია ასალი ამოცანები? — აი, კითხვა, რომელსაც მშრომელები ამჯერად აყენებენ და თვითონვე უპასუხებენ — ჯერ კიდევ ბევრია შიდასაწარმოო რეზერვები, გამოუყენებელი შესაძლებლობანი. სოციალისტური შეჯიბრების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფით კიდევ უკითესი მაჩვენებლების მოპოვება შეიძლება.

პირველი, ვინც მხურვალედ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, იყო რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივი, რომელმაც გასული წლის აპრილში ვალდებულება იკისრა ხუთწლედის საკონტროლო დავალებს გადამეტებით აწარმოოს 10 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს ვალდებულება შემუშავებულ იქნა საწარმოს ღრმა ეკონომიური ანალიზის საფუძველზე.

გაითვალისწინა რა ის მდგომარეობა, რომ რეზინის მრეწველობაში ნელი ტემპით მიმდინარეობს საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება, ქარხნის კოლექტივმა ამოცანად დაისახა ერთი წლით ადრე აეთვისებინა საპროექტო სიმძლავრენი, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით სრულად გამოეყენებინა რთული აპარატდანადგარები, ზუსტად დაეცვა ტექნოლოგიური პროცესები.

მართლაც, ქარხნის კოლექტივის იხოვრების ისტორიაში ჯასული ორი წელი 20 დეკემბერს მოსდა მნიშვნელოვანი მოვლენა — ამუშავდა თანამეფრადვი ტექნიკით აღჭურვილი საკვბე საამქრო, ხოლო 29 დეკემბერს საეჩპროფატაციოდ გადაეცა მთავარი კორპუსი, სადაც მოთავსდა № 2 და № 3 საამქროები, ცენტრალური ლაბორატორია და სხვ. საწარმოს მშრომელთა ხასხასურში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების კორპუსი. სულ ქარხნის საწარმოო ფართობს 7.785 კვადრატული მეტრი შეემატა. ეს ერთი დიდი და რეალური პირობაა იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომლებიც ქიმიკოსებმა შეშფოთებული გეგმით გაითვალისწინეს.

გასული წელი ქარხნის კოლექტივმა შესანიშნავი წარმატებით დაამთავრა. ჯერ კიდევ პირველ დეკემბერს საშობლოს უპატაკა პროდუქციის რეალიზაციის ნელიერი დავალების შესრულება, ხოლო ხუთწლედის გადამწყვეტი, მესამე წლის ბოლო თვეში ვეგმის გადამეტებით აწარმოვა 540 ათასი მანეთის პროდუქცია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საწარმოო დავალება შესრულდა ასორტიმენტის ყველა სახეობის დამეთ, და, რაც მთავარია, პროდუქციის თვითღირებულება 9,2 პროცენტით შემცირდა. ზეგეგმითია მოგება 500 ათასი მანეთი შეადგინა.

მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივის შეშფოთებული გეგმა ითვალისწინებს რეკონსტრუქციის მეორე რიგის სამუშაოების დამთავრებას. ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში მარტო პროდუქციის ნარჩენების გადამუშავებით გეგმის ზევით გამოშვებული იქნება 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

წარმატებებით აღინიშნა ხუთწლედის განმსაზღვრელი, მეოთხე წლის პირველი დღეები. საწარმოს კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს, ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მომავალი გამარჯვების მოსაპოვებლად კოლექტივს იხმარება მიღწეული შედეგების ღრმა ეკონომიური ანალიზი. აქ ამჯერად ბევრს ფიქრობენ და დასახული აქვთ ღონისძიებანი მინიმუმამდე შემაცირონ მუშათა დენადობა, აღმოფხვრან შრომის დისციპლინის დარღვევები, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი მოვლენაა, მეტი ყურადღება დაუთმონ აღრიცხვის საქმეს.

ფაქტი ერთია — ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

დ. გელენიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ფაქტები სინამდვილეს შეეფერება

რედაქციას უპასუხებს კარტიის ლაგოდეხის რაიკომი

რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარის შ. გელესიანის დანაშაულებრივი მოქმედება.

წერილი შეხამოწმებლად გადაეგზავნა პარტიის ლაგოდეხის რაიკომს.

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ბალილაშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ აფენის კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე მონაკვლევი მასალები და სახელმწიფო თანხის დიდი რაოდენობით მითვისებისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. გელესიანი გარიცხა სკკპ რიგებიდან, ხოლო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლისა და სიფხიზლის მოდუნებისათვის კ. შუბითიძე მოხსნა პარტბიუროს მდივნობიდან. ამჟამად შ. გელესიანი პატიმრობაშია და მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲥᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

Სამგლოვიარედ შავლენტიანი აბრეშუმის დროშაა გამოფენილი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც დაცულია „ყვავაფერი, რაც მოგვაგონებს“ გლოვის იმ დღეებს, როცა შეწყდა დიდი ბელადისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლის ლენინის გულისცემა. ეს დროშა საქართველოს კომუნისტური პარტიის — ლენინური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა მოსკოვში ვ. ი. ლენინის დაკრძალვაზე. დროშაზე ქართულ და რუსულ ენებზე წერია:

„ქართველი ბოლშევიკები მუდამ და ყოველთვის, როგორც შავბნელი რეაქციის ხანაში, ისე სარევოლუციო ზეიმის დროს, როგორც დამარცხების, ისე გამარჯვების დღეებში ერთგული მიმდევრები იყვნენ ლენინის, იშვიათი ამბანაგის, დიდი მასწავლებლის და ბელადისა. ლენინი აღარა გვყავს. მით უფრო მტკიცედ. შეურყეველად და ერთსულოვნად განვაგრძობთ ლენინის საქმეს“.

ახლა, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავის წინ მუზეუმში უწყვეტ ნაკადად მოდიან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები — მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი, სტუდენტები და მოსწავლეები, საბჭოთა არმიის მეომრები, რათა კვლავ დაეწაფონ ლენინის უკვდავი იდეების უშრეტ ცოცხალ წყაროს, გონების თვალი მოაყოონ იმ ადამიანის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამაღელვებელი ნიჭნის ფურცლებს, რომლის სახელთანაც მსოფლიო ისტორიის ახალი ერაა დაკავშირებული.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი შესანიშნავი საგანძურია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ენციალური იდეების, ფასდაუდებელი რეალიკვიებისა, რომლებიც ასახავენ მის ცხოვრებას და მოღვაწეობას — გმირობას, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას... მარტო მუზეუმი 200 ათასზე მეტმა კაცმა დათვალიერა. ძნელია დასახელო სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც ესოდენ ფართო პოპულარობით სარგებლობდეს.

აღელვება ეუფლება ყველას ამ ნათელ დარბაზებში შესვლისას, სადაც სამოთახსზე მეტი ექსპონატია დაცული. ისინი მოგვითხრობენ ილიჩის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე, მის ტიტანურ მოღვაწეობაზე, რომელიც დაკავშირებულია ბოლშევიკური პარტიის შექმნასა და რევოლუციონერთა რიგების შეკავშირებასთან. ასახავენ თავდადებული ბრძოლის ეტაპებს, რომელიც მიგვიყვანა რუსეთის მუშათა კლასის გამარჯვებამდე და შვა ახალი საზოგადოებრივი წყობილება.

აი, მოვიდნენ ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო რაიონის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის, შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციების რაიონის პარტიული განათლების ქსელის პროპაგანდისტები. ბევრ მათგანს კონსულტაცია მოუტანია. ისინი ღრმად სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას, პარტიისას, რომელიც შექმნა. და გამოჭედა, ბრძოლებში გამოაწრთო და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე მიიყვანა ლენინმა. ეუსკურსიამიდღოლი მათ აცნობს მასალებს, რომლებიც ასახავენ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ლენინი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებას.

მუზეუმის ექსპონატები გვიამბობენ, თუ როგორ იქმნებოდნენ და ყალიბდებოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, როგორ იბრძოდნენ ისინი 1905-1907 წლებში თვითმპყრობელობის შტურმისათვის მოსამზადებლად. წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის ჩვენ ვხედავთ ვ. ი. ლენინის ხელით დაწერილ რსდმპ მე-3 ყრილობის რეზოლუციას, რომელშიც აღნიშნულია საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის მაღალი რევოლუციური აქტივობა.

დამთავალიერებელნი დიდხანს ჩერდებიან სტენდებთან, სადაც გამოფენილია მასალები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა პარტიის ბელადი და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას, რა უზარმაზარ დახმარებას უწევდა იგი საქართველოს კომუნისტებს სოციალისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში.

თავის თხზულებებში ვლადიმერ ილიას-ძეს დაახლოებით 300-ჯერ აქვს ნახსენები საქართველო. ვ. ი. ლენინი პირადად იცნობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების დიდ ნაწილს და მრავალი წლის მანძილზე ახლო ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა მათთან, რეგულარული მიმოწერა ჰქონდა 20-ზე მეტ ქართველ რევოლუციონერთან.

დარბაზში შემოვდა რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი. ისინი ყურადღებით კითხულობენ ვ. ი. ლენინის განთქმულ წერილს „აზრბაიჯანინს, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ — კომუნისტებს“, რომელშიც პროლეტარული რევოლუციის ბელადმა, რევოლუციური მეცნიერების კორიფეომ ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გარიერაგზე დასახა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის, მრავალეროვანი მხარის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების დიდებული პროგრამა.

რევოლუციის გენიალი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, თქვა მეფოლადემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მიხეილ სპანდერაშვილმა, თავის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი მუშათა კლასი — ხალხთა საზოგადოების წამყვანი ძალა კვლავაც იქნის დასახული გეგმების ვადამდე შესრულებისათვის განმლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა და თავდადებული დამკვრელური შრომით უზრუნველყონ 1974 წლის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

დარბაზში, სადაც ნაჩვენებია ლენინური იდეების ტრიუმფალური სვლა ჩვენს პლანეტაზე, მოვიდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაზონშემკეთებელი ქარხნის წარმოების მუშაკები. ისინი შეჩერდნენ გლობუსთან, რომელზეც წითელი წრეებით აღნიშნულია ქვეყნები, სადაც კი გამოცემულა და გამოდის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, ბელადის თხზულებანი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა 102 ენაზე, მათ შორის სსრ კავშირის ხალხთა 63 ენაზე. ვ. ი. ლენინის გენიალიური შრომების საერთო ტირაჟმა მსოფლიოს ხუთდასხვა ქვეყანაში 430.750 ათასი ცალი შეადგინა.

ლენინიზმი გახდა დროშა მთელი პროგრესული კაცობრიობისა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. სტენდებზე ვხედავთ სკკპ პროგრამას, სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც ასახავენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეში ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ შეტანილ უდიდეს წვლილს.

პარტია გულდაჯერებით მიდის ლენინური გზით, მრავლდება საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის რიგები, ძლიერდება სოციალისტური ქვეყნების ბანაკი, ფართოვდება ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

გულითადი მადლობის სიტყვებს ტოვებენ დამთვალიერებელნი შთაბეჭდილებათა წიგნში.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავისთვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის კოლექტივმა მოამზადა მოძრავი გამოფენა, რომელიც გვაცნობს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებას და რევოლუციურ მოღვაწეობას. გამოფენას აჩვენებენ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის სამრეწველო საწარმოებში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. (საქინფორმის კორ.).

სურათზე: ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ᲒᲝᲚᲔᲜᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲐᲮᲐᲚᲫᲐᲚᲐᲥᲘ.** სოფელ ვანიანში ჩატარდა სასოფლო საბჭოში შემავალი საწარმო - დაწესებულებების სახალხო რაზმელთა შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ სახალხო რაზმების მეთაურები, ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სასოფლო საბჭოების დეპუტატები.

საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა რაიონში და დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანები, — ამ საკითხზე შეკრებილთა ესაუბრა პარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივანი, სახალხო რაზმელთა რაიონული შტაბის უფროსი თ. ლაზარაშვილი.

ლ. მეტრეველი.

● **ᲥᲝᲜᲣᲚᲘᲗᲘ.** აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა სოფელ სახალვაშში მოაწყო გაფსილი სამეცნიერო სესია. სესია შესავალი სიტყვით გახსნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, მუზეუმის დირექტორმა ხ. ახვლედიანმა. წარმართული სარწმუნოების ზოგიერთი გადმონაშთის შესახებ ლექციები წაიკითხა მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა მ. ერისთავმა, ქრისტიანული რელიგიის კლასობრივი არსის შესახებ — ს. ლეკვეიშვილმა, ხოლო ისლამსა და მის გადმონაშთებზე აჭარაში ისაუბრა ხ. ახვლედიანმა.

მეცნიერმა მუშაკებმა პასუხი გასცეს დამსწრეთა მრავალ შეკითხვაზე.

ო. კონცელიძე.

● **ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ.** უცნაური ადიდება იცის ხოლმე მდინარე ზნაკვურამ, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის მთის სოფლების მოტყიარისა და ზნაკვის მგზავრებს, მართალია, წინათ გაკეთდა ხიდი ზნაკვურაზე, მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფდა იქვე მდებარე სოფელ საკვიის მოზრდილ უბანს. ამჟამად აიფო მეორე კაპიტალური ხიდი, რამაც სამი სოფელი დააკავშირა ერთიმეორესთან და ცენტრალურ გზატკეცილთანაც.

ა.ა. კერესელიძე.

ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘ

ᲕᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲡ

● **ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ „ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ“ ᲛᲘᲖᲜᲐ**

● **ᲐᲡᲔ ᲡᲘᲛᲔᲭᲘᲡᲠᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲡᲐᲮᲐᲗ**

Საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ზვრებში, რომელთა ფართობიც განუწყვეტლივ იზრდება, სიმეჩხრე მიუტევებელი დანაშაულია. ახლა, როდესაც მეგვანახეობის აგროტექნიკური დონე აღმავალი ხაზით ვითარდება და ძირითადი შრომატევადი სამუშაოები თითქოს მთლიანად მექანიზებულია, ყურძნის მოსავლიანობა არსებულ ფართობზე უნდა იყოს მაღალი და, რაც მთავარია, სტაბილური.

სტატისტიკური მონაცემები კი ვვიჩვენებს, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ვაზის სიმეჩხრე 40 პროცენტს აღწევს, ხოლო საშუალოდ კი მთელ რესპუბლიკაში 20 პროცენტზე მეტია.

ვაზის სიმეჩხრის საკითხი იმდენად მტკივნეულია, რომ იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს შეუნელებელი ყურადღების საგანი გახდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ახლა ტარდება გადამჭრელი ღონისძიებები, რომ ვაზის სიმეჩხრე რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა ზვრებში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ეს კი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, სპეციალისტებს და მეურნეობათა ხელმძღვანელებს უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა პარტიისა და მთავრობის დიდი, სახელმწიფოებრივი დავალება შესრულდეს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების გამოყენებით, რაც შეიძლება მჭიდრო ვადებში.

სიმეჩხრე მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობის უკურნებელი სენი როდია. მეტნაკლებად იგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ზვრებშიც არის. ამიტომ უკვე კარგახანია, რაც მეცნიერება დიდ და მიზანდასახულ ბრძოლას აწარმოებს სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ. მრავალი ათეული წლის განმავლობაში არა ერთი ცდა ჩატარდა და გარკვეული შედეგიც მივიღეთ.

კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკისათვის ყველაზე უფრო ოპტიმალურ მეთოდად მიჩნეულია ვაზის სიმეჩხრის ლიკვიდაცია ახალშენ ვენახებში ნამყენი ვაზის გამორგვით. ძველ ვენახებში კი შეიძლება გამოვიყენოთ კომბინირებული მეთოდი: იმ რიგებში, რომლებშიც მცირეა სიმეჩხრე, შეიძლება გაცდენილი ძირები მეგვანახეობის აგროწესებით რეკომენდებული ჩვეულებრივი გადაწიდნით შეივსოს, ძლიერ მეჩხერ რიგებში კი კვლავ ნამყენით გამორგვას უნდა მივმართოთ.

მაგრამ თუ ჩვენს რესპუბლიკაში 70-იანი წლების დამლევისათვის სიმეჩხრემ კიდევ უფრო იმატა, ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. უთქმელობა, ჩვენი, აზრით, ნიშნავს ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის ამ ნაყოფიერი დარგის შემდგომ დაქვეითებას.

ეს მიზეზები შემდეგია. პირველი: ხშირად ადგილი აქვს მეურნეობებში სავენახე ფართობების არასწორ შერჩევას, უგულებელყოფილია მეცნიერების მიერ შემოწმებული რეკომენდაციები და გეგმების შესრულების მიზნით სრულიად შეუფერებელ აგრო-კლიმატურ პირობებში ხდება ახალი ვენახების გაშენება.

მეორე: ვენახების სიმეჩხრეზე დიდ გავლენას ახდენს უხარისხო სარგავი მასალა. ახალი ვენახი, როგორც წესი, მხოლოდ პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგით უნდა შენდებოდეს, ხოლო სიმეჩხრე ახალშენში 1-1,5 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, რაც დარგვიდან მომდევნო წელს უნდა აღმოიფხვრას. აღნიშნული საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია რესპუბლიკაში ვაზის სანერგე მეურნეობების შემდგომ განვითარებასთან. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში სრულიად მიშვებული იყო კონტროლი სანერგე მეურნეობების მიმართ, რამაც მათი ნაყოფიერების მკვეთრი დაქვეითება გამოიწვია. პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია — იმის ნაცვლად, რომ რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას ეზრუნა სანერგე მეურნეობათა შემდგომ აღმავლობაზე, საკვირტე მასალის დასამყნობად სპეციალისტებს ბულგარეთში გზავნიდნენ, რაც კოლოსალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს შემუშავებული აქვთ პრაქტიკულად შემოწმებული აგროღონისძიებათა კომპლექსი, რომლის ზუსტი დაცვა პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის მაქსიმალურ გამოფი არ გამოუღია, ასეთ შემთხვევაში უნაყოფო ცდის შემდეგ მეცნიერებას ის სარგებელი ჩაიხე აქვს, რომ მომდევნო თაობები თავისუფლდება უმედგო შრომისაგან.

ვაზის რქის თავდაყირა ჩაწიდვნის მეთოდი აგრეთვე იყო ცნობილი და მას პრაქტიკული შედეგი არ გამოუღია, მაგრამ რადგანა

კუბა ელის ლ. ი. ბრეჟნევს



საყოველთაო მზადება

იანვარი კუბაში განსაკუთრებული, სადღესასწაულო თვეა, თხუთმეტი წლის წინათ პირველი იანვარის განთიადისას კუნძულიდან გაიქცა იმპერიალიზმის დამკაში დიქტატორი ბატისტა, რომელსაც ეშინოდა წარმდგარიყო ხალხის სამართლიანობის წინაშე. რევოლუცია ზეიმობდა გამარჯვებას: ქალაქები და სოფლები ხარობდნენ, მიეახლებოდნენ ფიდელ კასტროს, ძალვამოსილი რევოლუციური არმიის მებრძოლებს. მას შემდეგ ტრადიციით იანვარში აჯამებენ განვლილი გზის შედეგებს, სახავენ მომავლის ამოცანებს.

მაგრამ წლევანდელი მე-15 ძლევამოსილი იანვარი აქ ორმაგი დღესასწაულია: ჭვეყანამ არათუ აღნიშნა თავისი რევოლუციის გამარჯვების ახალი წლიხთავი, არამედ ემზადება კიდევ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტისათვის კუბის რესპუბლიკაში.

„ჩვენ ყველანი დიდი ენთუზიაზმით მოველით კუბაში ისეთი გამოჩენილი ხელმძღვანელის ჩამოსვლას, როგორიცაა ამხანაგი ბრეჟნევი. ჩვენი სადგურის მუშაკებს დიდი იმედი აქვთ, რომ იგი ეწვევა ჩვენს საწარმოს, და სურთ რაც შეიძლება კარგად შეხვდნენ მას“. კომუნისტის, ანტონიო მაჩადოს სახელობის ელექტროსადგურის მუშაკის ხოსე ტეიეხეს ეს სიტყვები მეტად ტიპიურია საუბრებისათვის, რომლებიც ამ ბოლო დღეებში გვქონდა სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის კუბელებთან — მუშებთან და მოსწავლეებთან, ინჟინრებთან და მასწავლებლებთან, ეურნალისტებთან და სტუდენტებთან. კუბელი ხალხი თავისი დიდი მეგობრის ჩამოსვლას მოელის მაღალი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. მას სურს სიამაყით უჩვენოს ლ. ი. ბრეჟნევს თავისი წარმატებანი, სურს უჩვენოს ყოველივე საუკეთესო, რაც მას აქვს შინ.

კუბელებს ბევრი რამ აქვთ ნაჩვენებელი, ბევრი რამ აქვთ საამაყო. გმირმა კუნძულმა, რომელმაც 15 წლის წინათ ბრძოლა გამოუცხადა იმპერიალიზმს მისი ციტადელის უშიშარ სიახლოვეს, ამ წლების მანძილზე დიდი და სახელოვანი გზა განვლო. რევოლუციური კუბა დასავლეთ ნახევარსფეროში პირველი დაადგა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას, მოახდინა დიდი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ხაბეოთა კავშირის ხელშეწყობით კუბა ამჟამად ახორციელებს თავისი ეკონომიკის ძირითადი დარგის — შაქრის მრეწველობის ძირეულ რეკონსტრუქციას, რის შედეგად პრაქტიკულად განახლდება მთელი მოწყობილობა და აიგება თანამედროვე შაქრის ქარხნები. კომბაინების მძლავრი ქარხნის შექმნა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 600 მანქანას, ხაშუალებას მისცემს კუბას უკვე ამ ათწლეულის დამლევს განახორციელოს შაქრის ლერწმის მოსავლის აღების სამუშაოთა 60 პროცენტზე მეტის მექანიზაცია.

ხაბეოთა პროექტებით აგებულია და ხაბეოთა მოწყობილობით აღჭურვილია რესპუბლიკის ორი უდიდესი თბოელექტროსადგური — მარიელში, ჰავანის დასავლეთით, და რენტეს ნახევარკუნძულზე სანტიაგო-დე-კუბას მიდამოებში. სხრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით რამდენჯერმე ფართოვდება კუბის მეტალურგიის სიმძლავრეები. ნუევიტასის ახალ დიდ სამრეწველო რაიონში კამაგუეის პროვინციაში ხაბეოთა პროექტით შენდება ქიმიური სასუქის ქარხანა, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ჭვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საქმეში, კერძოდ, ძირითადი კულტურის — შაქრის ლერწმის მოსავლიანობის გადიდებაში.

შვიდ წელზე მეტი ხნის წინათ ვიყავი რენტას ელექტროსადგურში, რომელსაც ის-ის იყო მიენიჭა კუბის ეროვნული გმირის ანტონიო მაკეოს სახელი. იმ დღეებში სადგური მხოლოდ მწყობრში დგებოდა, და ხაბეოთა სპეციალისტები მუდამ ყველაზე ძნელ უბნებზე იყვნენ, ასწავლიდნენ კუბის პერსონალს. ახლა ეს არის ნამდვილად თანამედროვე, საწარმო, რომელიც უალრესად ზუსტად მუშაობს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მის მუშაკებს უყვართ და კარგად იციან თავიანთი პროფესია. „ყველაფერი, რაც ჩვენს საქმეში ვიცით, ხაბეოთა ადამიანებისაგან ვისწავლეთ, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სადგურის მთავარმა ინჟინერმა ლუის ლაგეირემ. — თანამშრომლობა მათთან მეტად ძვირფასი იყო. და ჩვენ, ამ თანამშრომლობის შედეგად შობილი საწარმოს მუშაკები დარწმუნებული ვართ, რომ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ბრეჟნევის ყოფნაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება კუბა-საბეოთა კავშირის ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისათვის“.

ოტორო ჰავანის მუშათა გარეუბანია, აქ არის რესპუბლიკაში უდიდესი ხოსე მარტის სახელობის მეტალურგიული ქარხანა. რევოლუციის შემდგომ წლებში მან ძლიერ იცვალა სახე: პატარა ქარხნიდან, რომელსაც ძველი მცირე ძალის მარტენები და მოძველებული სალნინავი დგანები ჰქონდა, დიდ საწარმოდ გადაიქცა, რომელიც აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ტექნიკით. მის უახლოეს პერსპექტივაშია საარმატურე ფოლადისა და ნაგლინის წარმოების სიმძლავრეთა შემდგომი მკვეთრი გადიდება. ყოველივე ეს ხდება ხაბეოთა პროექტებით, ჩვენი სპეციალისტების აქტიური ტექნიკური ხელშეწყობით. ქარხნის მეტალურგები გულწრფელი მადლობით ლაპარაკობენ იქ ხაბეოთა სპეციალისტების მუშაობაზე და აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი კუბაში კიდევ უფრო განამტკიცებს ორი ჭვეყნის ხალხთა ძმურ ურთიერთობას.

და ასეა ყველგან ამ იანვრის დღეებში — შრომისა და დღესასწაულის, ხაბეოთა ხალხთან მეგობრობის დღესასწაულის დღეებში.

რ. კნიაზევი,
საკდესის სპეც. კორ.

სოლიდარობის განცხადება

ქონეგა, 18 იანვარი. (საკდესი). ბუენოს აკ ჰავანართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს მორიგი სხდომა, რომელიც მუშაობაში მონაწილეობდა საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. შელეპინის მეთაურობით.

ეს იყო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს პირველი სხდომა პროფკავშირთა მე-7 კონგრესის შემდეგ, რომელიც გასული წლის ოქტომბერში გაიმართა ვარნაში. ბიურომ განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებასთან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება ჩილეელ მშრომელებთან და ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო დღის შესახებ ამასთან დაკავშირებით, რომ მომდინარე წლის 12 თებერვალს სრულდება ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის დაარსების 21 წლისთავი.

დიდი უნდოგლოგა

ტოკიო, 17 იანვარი. (საკდესი). იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტანაკა დაბრუნდა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოგზაურობიდან. იგი იყო ფილიპინებში, ტაილანდში, სინგაპურში, მალაზიისა და ინდონეზიაში. იაპონიის პრემიერს დაპირდნენ ამ ქვეყნების ხელმძღვანელები, რომ გაუდიდებენ იაპონიას ნედლეულის ექსპორტს ეკონომიური დახმარების სანაცვლოდ.

ეს იყო ტანაკას მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. იაპონიის ეკონომიკის ლიდერები აიძულა ენერგეტიკულმა კრიზისმა სასწრაფოდ გამოძებნონ ნედლეულის ახალი წყაროები და გაფართოონ ბაზრები იაპონური საქონლის გასასაღებლად.

მაგრამ ტანაკას ჰქონდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი — „გეფუნტა ამ რაიონში იაპონიის საწინააღმდეგო განწყობილება, რომელიც იაპონიის მზარდი ეკონომიური ექსპანსიის შედეგად წარმოიშვა. მოგზაურობის დროს ტანაკამ არაერთხელ განაცხადა, იაპონია თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ესწრაფვისო. მაგრამ ამ განცხადებებს, როგორც პრესა აღნიშნავს, ბევრად უფრო უნდობლად შეხვდნენ, ვიდრე ტოკიოში მოელოდნენ.

ვარაუდობდნენ, რომ პრემიერის მოგზაურობა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში დასაბამს მისცემდა დიალოგს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მეტ ურთიერთგაგებამდე მიგვიყვანდა, წერს გაზეთი „ტოკიო ტაიმუზუ“, მაგრამ მან მხოლოდ გაამწვავა იაპონიის საწინააღმდეგო განწყობილება. ამან უნდა აიძულოს მთავრობა სერიოზულად ჩაუფიქრდეს თავის საგარეო პოლიტიკას. იაპონიის პოლიტიკა ძირეულ გარდაქმნების საჭიროებს.

განაგრძობენ პროვოკაციებს

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). ისრაელი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს არაბულ ქვეყნებთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზებზე. ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების პატრულებისა და მეთვალყურეების 14-16 იანვრის პატაკებში აღნიშნულია, რომ ისრაელმა პროვოკაციულად გამოიწვია სროლა ეგვიპტისა და სირიის ჯარებთან და რომ ისრაელმა გადააადგილა ჯარები ლიბანის საზღვრის მახლობლად. 15 იანვარს სუეცის რაიონში ისრაელის სამხედრო ვერტმფრინავმა გადაუფრინა ეგვიპტის ტერიტორიას.

ისრაელის ხელისუფალნი კვლავ ხელს უშლიან სურსათისა და სხვა არასამხედრო მასალების მიწოდებას სუეცში და სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე ეგვიპტის მესამე არმიის განლაგების რაიონში. 14 იანვარს მათ გამოგონილი საბაბით გააჩერეს ასეთი ტვირთიანი ავტომანქანების კოლონა. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა ჩარევის შემდეგ განახლდა ტვირთის მიწოდება.

□ ახლო აღმოსავლეთი

ისრაელი აბრამსორმები არღვევენ შეთანხმებას

სანტიაგო □

მოქმედებენ საშხედრო ტრიბუნალები

ეროვნული დღე

ამბები • ფაქტები • პრობლემები

სოფია პრესის სააგენტო

სანატორიუმი გამოქვაბულში

რაბიშაანის გამოქვაბული, რომელიც ბულგარეთის ერთ-ერთ ლირსშესანიშნაობას წარმოადგენს, მრავალ ტურისტსა და ექსკურსიის მოყვარულს იზიდავს. უახლოეს პერიოდში აქ მოეწყობა ეგრეთწოდებული „მღვიმური სამკურნალო“. გამოქვაბულის ერთ-ერთ დარბაზში შენდება სანატორიუმი, სადაც მკურნალობის კურსს გაივლიან ბრონქიალური ასტმით დაავადებულები. „ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს სანატორიუმს ყველა აუცილებელი მოწყობილობით და სათანადო უმაღლესი და საშუალო სამედიცინო პერსონალით.

ვარნის ნეკროპოლის საგანძური

ბულგა.ეთის შავიზღვისპირა ქალაქის — ვარნის დასავლეთ ნაწილში დამთავრდა სპილენძ-ქვის ეპოქის (3200-3000 წელი ჩვენს ერამდე) ნეკროპოლის შესწავლის პირველი ეტაპი.

შესწავლილია 7 სამარხი. განსაკუთრებით მდიდრული და მრავალნაირი ოქროს ნაკეთობით. ყურადღებას იქცევს 7 ოქროს სამაჯური, 3 სწორკუთხოვანი ფილა, 4 შუბისწვერი, დაახლოებით 70-მდე ამობურცული ფილა, 345 ცილინდრული მანისტი, დიდი რაოდენობით ოქროს ბეჭდები და სპირალები, რომელთა საერთო წონა 3 კილოგრამია. განსაკუთრებით მდიდარი აღმოჩნდა სამარხი № 4, სადაც მარტო ოქროს ნივთები 1518 გრ. იწონიდა. იქვე იპოვეს რამდენიმე თიხის ჭურჭელი, ორი მთოგანი მოვარაყებულია ოქროს ხალებავით, რაც პირველი შემთხვევაა ევროპაში. ვარნის არქეოლოგიური მუზეუმის სპეციალისტთა აზრით, ნეკროპოლი უნიკალურია ჩვენი კონტინენტის ისტორიამდელი ეპოქისათვის, „ისინი ვარაუდობენ, რომ იგი ეკუთვნის ადგილობრივ თრაკიელ მოსახლეობას, რომელსაც თავის დროზე მაღალი მატერიალური და სულიერი კულტურა ჰქონდა.

„ანტიქრისტეს“ ეკრანიზაცია

ემილიანა სტანეევას რომანი „ანტიქრისტე“ გაცოცხლდება ტელევიზორის ეკრანზე 1974 წელს ბულგარეთის ტელევიზიის — გადაცემებში „ფურცლები“. ნაწარმოების ძირითად მომენტებს გადაიღებენ რეჟისორი თეოდოს პოპოვი და ოპერატორი გიორგი ანგელოვი. ფილმში როლებს შეასრულებენ მსახიობები ვ. სმირნოვი, ჯ. ალექსანდროვა, ბ. არაბოვი, მ. მიხაილოვი და სხვები.

ეროვნული დღე

18 იანვარი

სამუშაო ჯგუფებმა მუშაობა დაიწყეს

□ ნიუ-იორკი. 18 იანვარი. (საკდესი). ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში მუშაობა დაიწყეს საბეოთა კავშირ-ამერიკის სამუშაო ჯგუფებმა „სოიუზ“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ფრენისა და შეპირაპირების მომზადების საქმეში ღონისძიებათა კოორდინაციის საკითხებზე.

საბეოთა დელეგაციაში შედიან ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც მუშაობენ „სოიუზ-აპოლონის“ პროექტზე და ათანხმებენ პროექტის კონკრეტულ-ტექნიკურ სისტემებს.

საბეოთა და ამერიკელი ხუცალისტები ჰიუსტონში ერთად იმუშავებენ 2 კვირიდან 3 თვემდე.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

„მაკმილანმა“ გამოსცა

□ ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესის კორ.). ამერიკის ცნობილმა ხაგამომცემლო კომპანიამ „მაკმილანმა“ ინგლისური ენაზე გამოუშვა დიდი საბეოთა ენციკლოპედიის პირველი ტომი. გამოცემა აბსოლუტურად ზუსტი თარგმანია რუსული ორიგინალისა. ეს თარგმნა ხორციელდება საბეოთა რედაქტორებთან თანამშრომლობით და მათი კონტროლით. წელს გამოვა ოდიდ საბეოთა ენციკლოპედიის კიდევ 4 ტომი, ხოლო 30 ტომის მოცულობის მთელი გამოცემა დამთავრდება 1979 წელს.

სტატისტიკა ადასტურებს

□ რიო-დე-ჟანეირო. 18 იანვარი. (საკდესი). ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაციის მონაცემებით, ბრაზილიაში სისტემატურად შიმშილობს 40 მილიონი კაცი, მათ შორის სკოლამდელი ასაკის 12 მილიონი ბავშვი. ეკონომისტთა გამოანგარიშებით, ბრაზილიის საშუალო ოჯახი რამდენადმე რიგიანად რომ იცვებებოდეს, მან სურსათზე თვეში უნდა დახარჯოს 750-900 კრუზეირო. მაგრამ ჭვეყნის მშრომელთა ნახევარზე მეტი იღებს მთავრობის მიერ დადგენილ ხელფასის მინიმუმს — 312 კრუზეიროს.

შიმშილი ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობის მიზეზია.

მშრომელთა ხარჯზე

ლონდონი. 18 იანვარი. (საკდესი). ისრაელის მთავრობის ავანტიურისტული ექსპანსიონისტური კურსი და მასთან დაკავშირებული უდიდესი სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება ჭვეყნის მშრომელებს.

თანახმად ოფიციალური მონაცემებისა, რომლებიც ისრაელის სტატისტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა, ცხოვრების ღირებულება ჭვეყანაში 1973 წელს გაიზარდა 26,4 პროცენტით. ტანსაცმლის ფასები გადიდდა 17 პროცენტით, კვების პროდუქტებისა — 28 პროცენტით. თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა ბინის ქირა.

ტყეში ბავშვი იპოვნეს

დელი. 18 იანვარი. (საკდესი). დაახლოებით ათი წლის ბიჭუნა იპოვნეს ტყეში მონადირეებმა ბერეილის რაიონში (უტარ-პრადეშის შტატი). ბავშვმა არ იცის ლაპარაკი, თავისი ქცევითა და ჩვევებით ცხოველს მოგაგონებთ. ვარაუდით, ბიჭუნა დიდხანს ყოფილა ტყეში, სადაც ურთიერთობა ჰქონდა მხეცებთან. ბიჭი გაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც გაიკვლის გულმოდგინე სამედიცინო შემოწმებას.

კარიკატურისტის კომენტარი

ამ უკანასკნელ ხანებში ლონდონის ბირჟაზე აქციების კურსი სულ უფრო ეცემა. მთავრობის მიერ შემოღებული იძულებითი სამდღიანი სამუშაო კვირა იწვევს წარმოების შემცირებას. გირვანქა სტერლინგის პოზიცია ფინანდებურად უარესდება (გაზეთებიდან).

სტერლინგის კურსის საშიში დაცემა.

ი. კოკიაშვილის ნახატი.

ჩილე ხვრეტენ გაუსამართლებლად

ბუენოს-აირესი, 18 იანვარი. (საკდესი). ჩილეს სამხედრო ხუნტამ სანტიაგოში შექმნა ახალი საკონცენტრაციო ბანაკი „პენიალოლენი“. როგორც ჩილედან აქ ჩამოსულმა ემიგრანტებმა განაცხადეს, „პენიალოლენისა“ და „სერო ჩენის“ ბანაკებში, რომლებიც 40 კილომეტრზე მდებარეობენ დედაქალაქიდან, ხუნტის ჯარისკაცები გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტენ ჭვეყნის პატრიოტებს. დაპატიმრებულთ სასტიკად აწამებენ. სამხედრო ხელისუფალთ ისინი არაადამიანურ პირობებში ჰყავთ, შიმშილით ხოცავენ, ბევრ პატიმარს გამოფიტვისაგან აღარ შეუძლია მოძრაობა და მთელ დღეებს შიშველ იატაკზე ატარებს, რადგან მათ არავითარ საწოლს არ აძლევენ.

ამ ბანაკების პატიმართა შორის არიან კომუნისტი დეპუტატი კოკიმბოს პროვინციისაგან ამანდა ალტამირანო, სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ალეხანდრო ფილბერტო და სახალხო ერთიანობის კოალიციის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

სანტიაგოს „ჩილეს“ სტადიონზე კვლავ მოქმედებენ სამხედრო ტრიბუნალები, რომლებიც პოლიტიკურ პატიმრებს ასამართლებენ. სასამართლო პროცესები ჭიანურდება, და ბრალდებულთ არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ ისარგებლონ ნამდვილი იურიდიული დაცვით.

ვიზიტი დამთავრდა

არაბული ქვეყნების მინისტრთა პრეს-კონფერენცია

ბონი, 18 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამთავრდა ალჟირის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის ბ. აბდესალამისა და საუდის არაბეთის ნავთობისა და მინერალური რესურსების საქმეთა მინისტრის ა. იამანის ვიზიტი. ისინი მიიღო კანცლერმა ვ. ბრანდტმა. მათ საუბრები ჰქონდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან. ყურადღების ცენტრში იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და არაბული ქვეყნების ურთიერთობის საკითხები და უწინარეს ყოვლისა ნავთობის მიწოდების პრობლემები.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამჟობინებს განავითაროს ორმხრივი ეკონომიური ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომელიც მხარს უჭერს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ერთობლივ ფრონტს ამ საკითხში. კანცლერმა ვ. ბრანდტმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე განაცხადა, რომ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ორმხრივ საფუძველზე ენერგიით ქვეყნის მომარაგების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით“.

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ა. იამანმა და ბ. აბდესალამმა განაცხადეს, რომ არაბულ ქვეყნებს სურთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა დამყარონ ახლო აღმოსავლეთში და აპირებენ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა განავითარონ ყველა სახელმწიფოსთან. ამასთან მათ ხაზი გაუსვეს, რომ არაბული სახელმწიფოები გადაჭრით დგამენ შესაძლო ცდებს ნავთობის მომხმარებელი ქვეყნების ეაშინგტონის მომავალ თათბირზე შექმნან ანტიარაბული ბლოკი.

ნიქსონის განცხადება

ვაშინგტონი, 18 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ნიქსონმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ უენევის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად ეგვიპტისა და ისრაელის მთავრობებმა შეერთებული შტატების მთავრობის დახმარებით მიაღწიეს შეთანხმებას თავიანთი ჯარების დაშორიშორების შესახებ. ამ შეთანხმებას ხელს მოაწერენ ეგვიპტისა და ისრაელის გენერალური შტაბების უფროსები 18 იანვარს ნაშუადღევს ეგვიპტე-ისრაელის დროით კაირო-სუეცის გზის 101-ე კილომეტრზე.

ბრაზილია

სურათზე და ფართო მოხმარების საქონელზე ფასების მუდმივ ზრდასთან დაკავშირებით სახელმწიფოში მცირდება რეალური ხელფასი. ამჟამად ქალაქის და სოფლის მილიონობით მშრომელთა ვინიმალური ხელფასი ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე 1964 წელს იყო. ეს თავის მხრივ იწვევს მასობრივი უნარიანობის დაქვეითებას და ხალხის მასების გაღატაკებას.

სურათზე: გაღატაკებული ბრაზილიური ოჯახი.

სოფია პრესის სააგენტო

ეროვნული დღე

წერილი ავსტრალიიდან

ახალი სიო მეხუთე კონტინენტზე

იანვარი ყველაზე თბილი თვეა ავსტრალიაში. დღისით ცხელი ზღვა დიდხანს დაბანაობს უკიდეგანო სავანეებს, ველებს და აქ ბინავიათ ტყეებს. ღამღამობით არაჩვეულებრივად მკაფიოდ ანთია სამხრეთი ჯვრის თანავარსკვლავედი, რომელიც ავსტრალიის სახელმწიფო ალამზეა არის გამოსახული.

მშრალი ტროპიკული ჰაეა სჭარბობს მეხუთე კონტინენტზე. დამაცხრობელი გავლენა ზღვისა ნაკლებად იგრძნობა მის შიდა ოლქებში იმის გამო, რომ ავსტრალიის ნაპირები ძლიერ შემაღლებულია. ამის თქმა არ შეიძლება ჭვეყნის პოლიტიკურ ჰავაზე, რომელზეც შესამჩნევ გავლენას ახდენენ საერთაშორისო დაძაბულობის შემანელებელი ქარები. მისი ზეგავლენით ახლა ხდება ამ ჭვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ღრმა ცვლილებანი.

სახელმწიფო საჭესთან მრავალი წლის მანძილზე უცვლელად იდგა ლიბერალური და აგრარული პარტიების კოალიცია. გამორატავდნენ რა მონოპოლისტური კაპიტალისა და მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს, ისინი რეაქციულ შინაგან და საგარეო პოლიტიკას ახორციელებდნენ. ავსტრალიის ჩაბმამ მთელ რიგ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში, მისმა თანამონაწილეობამ ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურაში ვიეტნამში, მისმა მორჩილმა მიყოლამ იმპერიალისტური პოლიტიკის ფარვატერში, ბოლოს, ქვეყნის შიგნით დემოკრატიულ თავისუფლებათა შეზღუდვამ ძლიერ შეარყია ხალხის მასების ნდობა მთავრობისადმი. ამის შედეგად პარლამენტის არჩევნებში, რაც 1972 წლის დამლევს გაიმართა, მმართველი კოალიცია დამარცხდა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ლეიბორისტული პარტია — ამ ჭვეყანაში ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტია. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ამ პარტიის ლიდერი, 57 წლის ედუარდ ჰოფ უიტლეი, განათლებით იურისტი.

ახალ კაბინეტს თავისი საქმიანობის დაწყება მოუხდა იმ ზვავების ლიკვიდაციით, რომლებიც ლიბერალებისა და აგრარიების თარეშის შედეგ დარჩა. უწინარეს ყოვლისა, ავსტრალიამ თავისი ჯარები წაიყვანა ინდოჩინეთიდან და გადაჭრით დაგმო ამერიკელთა ავიაციის თავდასხმები დემოკრატიულ ვიეტნამზე. სამხედრო დახმარება მარიონეტული რეჟიმებისათვის სამხრეთ ვიეტნამში და კამბოჯაში შეწყდა. შედეგად ლეიბორისტებმა თავიანთი მეგადიფეობა მიმართეს შინაგანი პრობლემების გადასაჭრელად.

მთავრობის დიდ შეშფოთებას იწვევს ავსტრალიის ეკონომიკაში უცხოური მონოპოლიების მოძალება. წინათ უცხოეთის კაპიტალი დაუბრკოლებლად შედიოდა ამ ჭვეყანაში. მარტო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წილად მოდის 10 მილიარდამდე კაპიტალდაბანდებანი. სამეთ-მომპოვებელ მრეწველობაში უცხოეთის კომპანიების ეკუთვნით კაპიტალის 62 პროცენტი, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 70-მდე პროცენტი. უცხოეთის კაპიტალი გაბატონებულია ეკონომიკის ისეთ დარგებშიც, როგორიც არის მეტალურგია და ავტომშენებლობა, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობა. უკანასკნელ ხანს შემჩნეულია ავსტრალიის ბაზრებზე იაპონური საქონლის, კერძოდ, ავტომობილების შეღწევა.

შეუდგნენ რა წინანდელი მთავრობის პოლიტიკის ძირფესვიანად გადასინჯვას, ლეიბორისტებმა სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარეს უცხოეთის კაპიტალის „იმპორტი“, აიკრძალა უცხოელი ბიზნესმენების მიერ მიწების შეძენა. მიღებულ იქნა სხვა ზომებიც, რომელთა მიზანია ეროვნული ეკონომიკის ზრდის წახალისება.

შედეგებმაც მალე იჩინა თავი. გასულ წელს სამრეწველო წარმოების ზრდამ 6 პროცენტი შეადგინა. გამოცოცხლება ემჩნევა სოფლის მეურნეობასაც. ავსტრალიელებისათვის სასიამოვნო „სიურპრიზი“ იყო მსოფლიო ბაზრებზე მატყლის ფასების ზრდა. ავსტრალიისათვის — მატყლის მსხვილი ექსპორტიორისათვის, რომლის საძოვრებზე სძოვს 170 მილიონი ცხვარი ანუ მეელი მსოფლიო ფარის ერთი მეექვსედი — ეს მცირე მნიშვნელობის ფაქტი როდია. თუ მთელი 1972 წლის განმავლობაში ავსტრალიამ გაყიდა 635 მილიონი დოლარის მატყლი, 1973 მაგრამ ტრიბუნალის შესაძლებლობანი შეზღუდულია: მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო არ არის ნახევილ მეწარმეთათვის, რომელთა ინტერესებს იცავს პარლამენტის ფრიად გავლენიანი ოპოზიცია.

მონოპოლიებს, რომლებიც ძლიერ ზრდიან ფასებს მათ მიერ გამომუშავებულ პროდუქციაზე, უპირისპირდებიან მშრომელი მასები. გაფიცვები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას, ოვიათი მოვლენა როდია დღევანდელი ავსტრალიისათვის. გასულ წელს გაფიცული იყვნენ ფორდის საავტომობილო ქარხნის — ცხობილი ამერიკული კონცერნის ფილიალის მუშები, ამერიკაში უმსხვილესი კომპანიის „ბროკენ ჰილის“ მეტალურგები, მელბურნისა და სიდნეის ელექტროსადგურებისა და ბევრი სხვა საწარმოს მუშები.

მმართველი პარტიის ამასწინათ შემდგარ კონფერენციაზე მოიწონეს მოქმედების პროგრამა, რომელიც მთავრობამ დასახა. იგი ითვალისწინებს რეფორმების გატარებას ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საბინაო მშენებლობის დარგში. დასახულია ხელფასის გადიდება, ღონისძიებანი ფასების ზრდის შეკავებისათვის. მთავრობას განზრახული აქვს გადიდოს პენსიები მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო და სხვა დახმარების გაწევას აბორიგენებისათვის, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და მოკლებული არიან ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს.

ამ პროგრამის მთლიანად განხორციელებას მთავრობა ვერ ახერხებს, რადგანაც ახალი კურსი აწყდება პარლამენტში ლიბერალური და აგრარული პარტიებით წარმოდგენილი კონსერვატიული ძალების ძლიერ წინააღმდეგობას. ოპოზიციამ, რომელსაც სენატში (ავსტრალიის პარლამენტის ზედა პალატა) უმრავლესობა ჰყავს, მოახერხა პარლამენტის ამასწინანდელ 28-ე სესიაზე საეფუშა მთავრობის ერი ფილი კანონპროექტები. შემთხვევითი როდია, რომ პრემიერ-მინისტრმა უიტლემმა ოპოზიციის წარმომადგენლებს უწოდა „რეაქციონერები, რომლებიც ცდილობენ ყველა მისაწვდომი საშუალებით შეუშალონ ხელი პროგრესსა და რეფორმებს“.

პროგრესული საზოგადოებრიობა მხარს უჭერს ლეიბორისტების მიერ დაწყებულ ავსტრალიის მეტი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის ეროვნული მრეწველობის წახალისებისა და სოციალური რეფორმების გატარების კურსს.

ითვალისწინებს რა ახალ პოლიტიკურ ვითარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და დადებით ცვლილებებს მსოფლიოში, ქვეყნის ხელმძღვანელობას სურს ბოლო მოუღოს „ცივი ომის“ პერიოდის გადმონაშთებს. იგი ცდილობს შეზღუდოს ქვეყნის მონაწილეობა სამხედრო ბლოკებში, რომლების წევრიც ავსტრალია ჯერ ისევ არის. ლეიბორისტებს ანაქრონიზმად მიაჩნიათ აზია-წყნარი ოკეანის საბჭო (აზპაკი). მათ მიიღეს გადაწყვეტილება 1975 წლისათვის სინგაპურიდან გაიყვანონ ავსტრალიის ჯარები, რომლებიც მედიან ანზიუსის ხუთმხრივი პაქტის შეიარაღებულ ძალებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინანდელი ვიზიტის დროს უიტლემმა პირდაპირ განაცხადა, რომ კანბერა ეცდება მიაღწიოს სიატის სამხედრო საქმიანობის მასშტაბების შემცირებას. ავსტრალიამ უარი განაცხადა იმაზე, რომ მონაწილეობა მიეღო ამ ბლოკის უკანასკნელ სამხედრო-საზღვაო მანევრებში. უიტლემის მთავრობა ფადებითად ეკიდება იმ იდეას, რომ ინდოეთის ოკეანის აუზი მშვიდობის ზონად გადაიქცეს. მაგრამ ამერიკის სამხედრო ბაზები ჯერ ისევ რჩებიან ავსტრალიის ტერიტორიაზე და ქმნიან იმის მუდმივ საფრთხეს, რომ ავსტრალია ჩართულ იქნას ახალ იმპერიალისტურ ავანტიურებში. ავსტრალიის საზო

საქართველოს რაიონებში

თელავი

გვაცნობებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი



ახალ ბინებში

სულ უფრო ფართოვდება თელავში სახლთმშენებლობა. მარტო უკანასკნელ სამ თვეში დამთავრდა სამი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მათ შორის უურადღებას იპყრობს ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სახსრებით ინდივიდუალური პროექტით აგებული 24-ბინიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. ამ სახლის ჩათვლით წლეულანდელი ახალი წელი ასზე მეტმა ოჯახმა იზეიმა ახალ, კეთილმოწყობილ ბინაში.

მთავრდება უკანასკნელი სამუშაოები და უახლოეს დროში გადაეცემა საექსპლოატაციოდ კიდევ ერთი 80-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ალაზნის პროსპექტზე.

წიგნი მშრომელთა სამსახურში

რაიონის მშრომელთა სამსახურშია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. მარტო კულტურის სამინისტროს სახით მოქმედებს სამი სასოფლო და ერთი საერაიონო კულტურის სახლი, 18 სასოფლო-კლუბი, 42 ბიბლიოთეკა.

წლითიწლობით სულ უფრო იზრდება ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი. გასულ წელს ბიბლიოთეკებს ცენტრალიზებული წესით შეემატა 29.519 ახალი წიგნი.

ზრუნავენ დედებისა და ბავშვებისათვის

რაიონში ბევრი მრავალშვილიანი დედაა. მათ შორის ექვსს მინიჭებული აქვს „გმირი დედის" სატიტული წოდება. მრავალშვილიანი დედები ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოსილი. მათი შვილები შედავთიანი პირობებით იმყოფებიან სბავშვო ბაღებსა და სკოლა-ინტერნატებში, დედებსა და ბავშვებს ფხიზელ მეთვალყურეობას უწევენ სამედიცინო დაწესებულებები.

მრავალშვილიანმა დედებმა ერთდროული და ყოველთვიური დახმარების სახით მარტო გასულ წელს მიიღეს 40.689 მანეთი.

ჯანმრთელობის დაცვის ქსელს შეემატა

რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ქსელი ახალი წლიდან კიდევ უფრო გაფართოვდა. ამჟერად თელავის რაიონულ ცენტრალურ საავადმყოფოსთან გაიხსნა კარდიოლოგიური და უროლოგიური განყოფილებები თითეული 40 საწოლით.

ორივე განყოფილება სარაიონთაშორისოა და გარდა თელავის რაიონისა, მომსახურებას უწევს მეზობელი რაიონების მოსახლეობასაც.

ა. თვალიაშვილი.

სურათზე: ქ. თელავი, ლენინის ქუჩის ერთ-ერთი კუთხე, მარცხნივ — ახალი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ა. ბროდსკის ფოტო.

შეწყვეტილი რეისი

კვლავ იოლ საშოვარზე გაწუწკებულთა შესახებ

ამ წერილით ახალსა და საგანგებოს ვირაფერს ვაუწყებთ მკითხველს. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ იყვნენ მხილებულნი სპეკულანტები, იოლი გზით გამდიდრების მსურველნი, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით ცდილობენ რესპუბლიკის გარეთ გაიტანონ აკრძალული ტვირთი — მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მსხალი და სხვ.

ვინც გაზეთებს ადევნებს თვალს, მისთვის ამ წერილის თავაარი ვბირის სახელი და გვარიც არ იქნება უცხო: ზუგდიდის რაიონის საყოფაცხოვრებო მოსახურების სამმართველოს ავტობუსის (მანქანა № 62-84 გრმ) მძღოლი ტარიელ ნარსია გაზეთ „პრავდის" მიმდინარე წლის 10 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში იყო მოხსენებული იმისათვის, რომ ამ ავტობუსით ბორეულ რეისებში აკრძალული ტვირთით სიარულს დაჩვეულია და ამ გზით ფულის შოვნაშიც გაწუწკებული, თორემ მას შემდეგ, რაც ის გაგრაში დაკავეს და მძღოლის მოწმობა ჩამოართვეს, **როგორ გაბედავდა ახალ რეისზე ეფიქრა!**

უფრო საგულისხმო და სავალალო კი ის არის, რომ ამ დანაშაულში მძღოლს თვით ის დაწესებულება ათამამებდა, აქეზებდა და ხელს უწყობდა, სადაც ის მუშაობდა. ნ. ნარსია ავტობუსს ისე იყენებდა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყოს და არა დაწესებულებისა. სად არ ნახავდით ამ ავტობუსს — გასვენებაში, ქელეხში, ქორწილში, უფრო ხშირად კი შორეულ გზებზე აკრძალული ტვირთის საზიდად, მაგრამ ამისათვის მძღოლს არათუ პასუხს **არ** სთხოვდნენ, არამედ შეღავათსაც კი აძლევდნენ. 1972 წლის დეკემბრიდან მოკიდებული, რაც ეს ავტობუსი ზუგდიდის საყოფაცხოვრებო მოსახურების სამმართველოს მფლობელობაშია, მძღოლებს არც ერთი თვის გეგმა არ შეუსრულებიათ, 1.000 მანეთის ნაცვლად თვეში მხოლოდ 400-500 და ზოგჯერ უფრო ნაკლები შეკქონდათ სალაროში, მაშინ როცა ავტობუსი დღისით კი არა, ღამითაც არავის უნახავს გარაჟში უქმად დაყენებული. ამაზე მეტი თავაშეგულობა და თავგასულობა რაღა იქნება!

ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ მართვის მოწმობის უქონლად მაინც როგორ გაბედა მძღოლმა მანქანის საჭესთან დაჯდომა?

არა, უმოწმობოდ არ ყოფილა ტარიელ ნარსია. მან ძმის — გონელი ნარსიას ძველ მოწმობაში გადააკეთა სახელი და თავისად გაასაღა. თუმცა ეს ნაყალბევი მოწმობა კი არა, ნამდვილიც რომ ჰქონოდა, მაინც არ ჰქონდა დაწესებულების ავტობუსის საჭესთან დაჯდომის უფლება, რადგან საგუშარი სხვა მძღოლზე — ალბერ ნაჭყებიაზე იყო გამოწერილი. მაგრამ ამ უკანასკნელმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, თავის ნაცნობის მსუბუქ ავტომანქანაში გადაჯდა და ავტობუსს შორიახლო მიაყენებოდა, ხშირად კი წინ გადაუსწრებდა და გზას ზვრავდა.

მთელი ბრალი ტარიელ ნარსიამ თვითონ იდო თავს. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა დაგვეჯერებინა, რომ მას ამფსონები არ ჰყავდნენ ამ საარსაკო და დანაშაულებრივ საქმეში. **რა** თქმა უნდა, ჰყავდნენ, მაგრამ ახლა ამაზე არ შევჩერდებთ. ამას გამოძიება უფრო საფუძვლიანად გამოირკვევს და დაადგენს.

ზომ ხედავთ, რა ხერხს არ იგონებენ, **რა** მაქინაციებს **არ** მიმართავენ, დანაშაულსაც კი **არ** ერიდებიან გამდიდრების ყურვილით შეპყრობილი ეს ადამიანები იმისათვის, რომ როგორმე რესპუბლიკის გარეთ გაიტანონ ჩვენი სოფლის მშრომელთა ნაოფლარი და იქ მამასისხლად გაჰყიდონ. ამას წლების განმავლობაში მიეჩვევნენ და ახლა ძვალ-რბილში აქვთ გაჯდარი. მაგრამ გადაეჩვევიან, იძულებულს გავხდით გადაეჩვიონ!

რაც უფრო მეტია მათი ცდა და მოწადინება, გაფთრება და გახელება თავისი გაიტანონ, მით უფრო მტკიცედ უნდა დავუდგეთ, ფრთები შევაკვეთოთ, მეტის მეტი მადა უნდა დავუკარგოთ ყველას, ვისაც მოხვეჭასა და იოლ გამდიდრებაზე უჭირავს თვალი.

იცოდეს ყველამ, რომ ასეთი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა დროებითი ღონისძიება არ არის. პატიოსანი საბჭოთა ადამიანები თავის რიგებში ვერ მოითმენენ პარაზიტებსა და მუქთახორებს, რომლებიც უდიდეს ზიანს აყენებენ, წამლავენ ჩვენს საზოგადოებას. ჩვენი პარტია და ხალხი ბოლომდე შეურიგებელი იქნებიან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

მ. მიქაძე.

დირექტორთა სემინარი

ამას წინათ გაიმართა რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების შემსწავლელი სემინარი, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალმა. სემინარს ესწრებოდნენ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის და შუახევის რაიონების სკოლების დირექტორები.

ლექციები წაიკითხეს პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ცივაძემ, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის პედაგოგიკის კაბინეტის მეთოდისტმა ნ. ბასილაძემ, ხელვაჩაურის რაიონის მასნიჭაურის საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ქაჯაიამ და სხვ. სემინარის მონაწილეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ბათუმის № 3 საშუალო სკოლის დირექტორმა თ. დოლიძემ, № 7 რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ზ. გოგიტიძემ და სხვ.

გ. ჩხაიძე.

ბრეტენდენტთა მატჩებზე

ხერხერობით მსოფლიო ყაიმები

სურათზე: ძველი მეტოქეების ლაიოშ პორტიშისა და ტიგრან პეტროსიანის შეხვედრა მოსკოვში 18 გროსმაისტერის ტურნირზე 1967 წლის 26 მაისს.

გ. შეყილაძის ფოტო.

მოსკოვი. პოლუგაევსკი-კარპოვის მატჩის პირველ პარტიაში ახალგაზრდა გროსმაისტერმა შავებით ნიმცოვიჩის დაცვა აირჩია. ეს დებიუტი უაღრესად პოპულარულია თანამედროვე სტურნირო და სამატჩო პრაქტიკაში. კარპოვმა მიმართა ერთიერთ გაგრძელებას, სადაც შავები კუთი იხვევენ ლაზიერის ფრთაზე და ცდილობენ ბრძოლის გართულებას. გროსმაისტერმა ანტოშინმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ორივე მეტოქე ლაღად და თავისუფლად თამაშობდა, არ ერიდებოდა მწვავე გაგრძელებებს.

შუა თამაშში ერთგვარი უპირატესობა პოლუგაევსკის მხარეზე იყო. კარპოვი ზუსტად იცავდა თავს. მან სრულიად გაათანაბრა პოზიცია და 33-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა.

ამ პარტიასთან დაკავშირებით ანტოშინმა თქვა, რომ მეტოქეთა შესაძლებლობები მატჩში დაახლოებით თანაბრად უნდა მივიჩნიოთ. საინტერესოა ერთი გარემოებაც — არც უაღრესად გამოცდილ პოლუგაევსკის, არც ახალგაზრდა გროსმაისტერს ადრე დიდი, ხანგრძლივი მატჩი არ უთამაშნიათ.

გუშინ მეტოქეები ისვენებდნენ. დღეს მეორე პარტიაში თეთრებით თამაშობს კარპოვი.

სან-ხუანი. დარბაზი, სადაც სპასკი და ბირნი თამაშობენ, მსოლოდ 100 კაცს იტევს. შესვლა უფასოა და ამიტომ ადგილს ის იკავებს, ვინც სატურნირო შენობაში ადრე მიდის. დანარჩენებს შეუძლიათ პარტიის მსვლელობას თვალყური ადევნონ რ დიდ დარბაზში, სადაც შეხვედრას გადასცემენ დახურული სატელევიზიო არხებით.

მატჩის მეორე პარტია, მიმომხილველთა საყოველთაო აზრით, გადღებული იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონის აშკარა უპირატესობით. შეხვედრის განახლებიდან რამდენიმე სვლის შემდეგ სპასკის შეცდომა მოუვიდა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ამერიკელმა გროსმაისტერმა. თამაში გადავიდა ეტლების ენდშპილში სპასკისათვის ზედმეტი პაიკით, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელი იყო. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ამ მატჩში უკვე ორი პარტია დამთავრდა ყაიმით.

ობასტა. კორჩნოი-მეკენგის მატჩის განრიგი განსხვავდება დანარჩენებისაგან. მეტოქენი ზედიზედ ორ პარტიას თამაშობენ. მესამე დღეს კი, თუ საჭიროა, ამთავრებენ მთ.

მატჩის მეორე პარტიაში თეთრებით თამაშობდა ბრაზილიელი გროსმაისტერი. მეტოქეებმა გაითამაშეს ესპანური პარტია, რომლის დიდ სპეციალისტებადაც ისინი ითვლებიან. მას შემდეგ, რაც ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას, 35-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა.

პირველ გადადებულ პარტიაში მეტოქეებს ორმხრივი შესაძლებლობები აქვთ.

პალმა-დე მალიორკა. პეტროსიანპორტიშის, მიმომხილველთა აზრით ოთხიდან ყველაზე უფრო ბუნდოვან მატჩში პირველ პარტიას თეთრებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ითამაშებს.

უნგრელმა გროსმაისტერმა ზოლტან რიბლიმ განაცხადა, რომ პორტიში, რომელიც მეტოქეზე 8 წლით ახალგაზრდაა და თავისი საჭადრაკო ძალის მწვერვალზე იმყოფება, არა მარტო ამ მატჩს მოიგებს, არამედ მომდევნოსაც. რიბლი პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში სპასკი-პორტიშის შეხვედრას მოელის, და აქ კი უპირატესობას სპასკის ანიჭებს.

ნაპრეგის საგოლოო ფემადგენლოგა

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში გაიმართება ევროპის პირველობა ფიგურულ ცეკვაობაში. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებენ: წყვილთა სრულიაში — მოსკოველები ი. როდნინა და ა. ზაიცევი, ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი, ნ. გორშკოვა და შევალოვსკი, ყინულზე ცეკვაში — ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, ნ. ლინიჩუკი და ვ. კაპრონოვსოვი, ი. მოისეევა და მირონოვი. ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ერთი მონაწილე გამოვა — მოსკოველი მოწაველ მარინე სანაია. ვაჟთა ერთეულებში იასპარეზებენ მოსკოველი ვ. კოვალიოვი, მოსკოელი ოლქიდან — ს. ეოლკოვი და ლენინგრადელი ი. ოვჩინნიკოვი.

პირველი ჩოგანი

შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ შეადგინა უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები.

ვაჟების უძლიერეს ათეულს სათავეში უდგას ჩვენი ქვეყნის ახალოლუტური ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე მეტრეველი. იგი მთელი 1973 წლის მანძილზე არც ერთ საბჭოთა სპორტსმენს არ დაუმარცხებია და ხუთი წელია არავისთვის არ დაუთმია მას უძლიერესის სახელი.

ზედიზედ მეორე ადგილზეა მოსკოვის ზამთრის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, უნივერსიადა-73-ის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის პირველობის ბრონზლის პრიზიორი თეიმურაზ კაკულია.

უძლიერეს ქალთა ათეულში მოხვდა და მეშვიდე ადგილზეა თბილისელი ალა ივანოვა. გოგონების ათეულშია ორი თბილისელი — მ. ელერდაშვილი და ს. კაკულია.

რამდენიმე სტრიქონით

□ **მოსკოვში** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფრენბურთელთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების სასპასუხო მატჩი ანგარიშით 3:0 მოუგო ბელგრადის „პარტიზანს". ამ თასის მფლობელი — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი ნახევარფინალში გავიდა.

□ **ლენინგრადში** ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხეფინალურ განმეორებით მატჩში კალათბურთელ ქალთა შორის ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და იუგოსლავიის ქალაქ სარაევოს გუნდი „ელეზნიჩარი". ამჯერადაც მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და გაიმარჯვეს ანგარიშით 99:52.

□ **მოსკოვსა** და **ალმა-ათაში** დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ტური. ხუთი თამაშიდან ხუთ-ხუთი ქულა მოაგროვეს მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფრენბურთელებმა და რიგის „რადიოტექნიკამ" და მესამე ადგილზე იმყოფებიან.



ეკრანიზაციის ჩვენებანი

ვირჯინიოს ჯ. ოლეანდერ

21 იანვარი

18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.35 — „ზოზარდი და მუსიკა", 19.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — ბეთჰოვენი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად, 20.15 — მხატვრული ფილმი „ლენინი 1918 წელს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მსოფლიო პოეტები ლენინს", 22.50 — ახალი ამბები.

22 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI კლასელთათვის „კუთხის ბისექტრისის თვისება), 11.25 — მხატვრული ფილმი — „სპორტი, სპორტი, სპორტი", 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ქართულ ენაში, 17.15 — ბოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „გმირის ნაკვალევი", 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — „სპორტული მიმოხილვა", 19.30 — „მსოფლიო დღეს", 19.45 — „ლენინის კურსით" — გადაცემა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „კინოლენინიანა", 21.35 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 23.10 — ახალი ამბები.

23 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — „ბურატინის გამოფენა", 11.15 — ფილმი-სპექტაკლი „ინჟინერი" — საბჭოთა კავშირის მცირე აკადემიური თეატრის სპექტაკლი, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — განცხადებები, 18.20 — კინონარკვევი, 18.40 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 18.55 — „მიმართვის სასპასუხოდ" — „მეცნიერება წარმოებას", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „გუშინდელნი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.10 — ახალი ამბები.

24 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 12.00 — მხატვრული ფილმი „თავადი იგორი", 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: — ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ფილოსოფიის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად: — „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასებსა და სახელმწიფოზე", 18.25 — ბავშვებისათვის. კინოპროგრამა, 19.15 — „ფიზიკულტურულ კოლექტივებში", 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ლიტერატურული ალმანახი", 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 21.20 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემათა ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები", — „არრილ კვრესელიძე, 23.30 — ახალი ამბები.

25 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა, (ფონეტიკის საგანი), 11.25 კინოპროგრამა, 12.00 — მხატვრული ფილმი „ჰაიდუკ ანგელის თავგადასავალი", 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: — ლექცია ფიზიკაში, 17.45 — კინონარკვევი, 18.10 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი საოჯახო კლუბი", 18.55 — „მინერალური სასუქები — მოსავლიანობის გაზრდის წყარო", 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 19.45 — „ჩარხები-72", 20.25 — „თეატრალურ აფიშასთან", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მიმართვის სასპასუხოდ" — „მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბარეშოსტიის ოჯახი" — ფერადი ტელევიზიის ფილმი „ბარეშოსტიის ოჯახი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — „ბალეტი ბალეტზე" — ფერადი ტელევიზიის ფილმ-ბალეტი „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.55 — „ეროვნული ბიბლიოთეკა" — ფერადი ტელევიზიის ფილმ-ლექციები (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.30 — „ბოლო ბალეტი" — ფერადი ტელევიზიის ფილმ-ბალეტი „ბოლო ბალეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან).

26 იანვარი

10.05 — ფერადი ტელევიზია — „ტანვარჯიში ყველასათვის" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — „ასალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან).

27 იანვარი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ასალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ეჰეი, კრიხა!", 12.30 — „კინოთაფეშა", 13.00 — მუსიკალური კინოკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „შეგისწავლოთ რუსული ენა", 14.15 — კინონარკვევი, 14.35 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად: — ლექცია მათემატიკაში, 15.35 — კინონარკვევი, 15.45 — „საჭადრაკო სკოლა", 16.05 — ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „კუბა შორს როდია!...", პრემიერა 16.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.00 — „საერთაშორისო პანორამა" — (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — „მიმართვის სასპასუხოდ" — გადაცემა ასალგაზრდობისათვის — „კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობაზე", 18.50 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი პრესკონფერენცია", 19.30 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე", — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — „თეატრალური პანორამა", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო კონცერტი.

ტელევიზია

19 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში „ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ასალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 11.00 —„თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „უბმეთ ყველას ზემოთ", 12.45— „მუსიკა დღეს". ამერიკაკვკასიის კომპოზიტორთა ყრილობაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „30 წუთი კინოსმოყვარულთათვის", 14.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „კინოლენინიანა", 21.35 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი ოსტატთა მონაწილეობით, 23.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა, 18.40 — „ბარეშოსტიის ოჯახი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.25 — „კინნიერების სადარაჯოზე", 19.45 — კონცერტი, 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — ფერადი ტელევიზია. „მინიატურების სატელევიზიო თეატრი" 13 სკამი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი — „არხენა", 23.50 — ახალი ამბები.

20 იანვარი

პირველი პროგრამით

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა", 12.15 — მეჩონგური ქალთა ანსამბლის კონცერტი, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ქართული ფილმ-ბალეტი „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — „ბალეტი ბალეტზე" — ფერადი ტელევიზიის ფილმ-ბალეტი „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან).

21 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში „ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ასალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „ბავშვებისათვის „ბალეტი ბალეტზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22